



საქართველოს
პირველი არხი

სოციალური რეკლამის
ტექნიკური მახასიათებლების
მოთხოვნები

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთარში
განთავსების მიზნით წარმოდგენილი

| 1TV.GE

წარდგენის წესები

წერილობითი მიმართვა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის სახელზე და ვიდეორგოლი ნებისმიერ ციფრულ მატარებელზე წარმოდგენილი უნდა იყოს სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე 7 დღით ადრე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში ან ფოსტით შემდეგ მისამართზე:

📍 0171 ქ. თბილისი, კოსტავას 68

განმარტება

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ

მუხლი 12. სოციალური რეკლამა

1. სოციალური რეკლამა - საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული მომსახურების რეკლამას.
2. სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მენარმეები, მათი საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციებს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგს.
3. ფიზიკური და იურიდიული პირების სოციალური რეკლამის წარმოებისა და გავრცელებისათვის უსასყიდლო საქმიანობა, აგრეთვე ამ პირთა მიერ საკუთარი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ მიზნით გადაცემა ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები.


მოთხოვნები

სოციალური ვიდეორგოლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

- ვიდეორგოლი უნდა იყოს გადაღებული და დამონტაჟებული პროფესიონალი ოპერატორის, მემონტაჟის და ხმის რეჟისორის მიერ;
- ვიდეორგოლის გამოსახულება არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ტექნიკური წუნის შემცველი, დაცული უნდა იყოს ხმის ბალანსი;
- სარეკლამო რგოლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ხარისხიანი ვიდეოგამოსახულება, კადრირების სწორი რიტმი, ლაკონური ტექსტი, მისადაგებული მუსიკალური რიტმი;
- ვიდეორგოლში დაცული უნდა იყოს ქართული ლიტერატურული ენის ნორმები. აუცილებელია გამართული მეტყველება/დიქცია.

ვიდეოფორმატი

format: MXF OP1a
Preset: XDCAM HD Pal 50i



აუდიოფორმატი

-18-დან -12 db-მდე
16 bit 4800 kHz stereo

ქრონომეტრაჟი

არაუმეტეს 30 წამისა

განთავსების ხანგრძლივობა

უნყვეტი, არაუმეტეს 30 დღისა